ხელშეკრულება Nრფმ/16 –058
(საქონლის შესყიდვის შესახებ, CPV- 30192350)

ქ. თბილისი 15 ნოემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, შპს „რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი“ (ს/კ 202460103), შემდგომში - „შემსყიდველი“, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის კობა ლაცაბიძეს სახით და მეორეს მხრივ, შპს „ბიბლუსი“ (ს/კ 205254892), შემდგომში - „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი გაგნიძეს სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საქონლის შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშერკულების საფუძველზე, „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას მიაწოდოს „შემსყიდველს“ თერმო ლენტი 0,57*20 მეტრი – 688 ცალი.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა – 412,80 (ოთხასთორმეტი ლარი და 80 თეთრი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით;

3.2 ერთეულის ღირებულებაა: 0,60 (სამოცი თეთრი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას მასზედ, რომ მის მიერ საქონლის მიწოდება განხორციელდება შეუფერხებლად, დროულად და ხარისხიანად.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვრება შემსყიდველის მოთხოვნის მიხედვით, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 30 ნოემბრისა.

5.2. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

5.3. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ადმინისტრატორად განისაზღვრა უირისტი - მანანა თოდაძე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონლის მიღება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელიც დგება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის რაოდენობის მიხედვით და დასტურდება მხარეთა მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირების ხელმოწერებით.

6.1.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს იურისტი - მანანა თოდაძე.

6.2 მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო, ერთი მიმწოდებელს.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო, კონსიგნაციით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ოდენობის მიხედვით.

7.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8. „შემსყიდველის“ უფლება-მოვალეობანი:

8.1 შემსყიდველს უფლება აქვს, მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის შეუფერხებელი მიწოდება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და შემსყიდველის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება დადგენილი პირობების შესაბამისად.

9. „მიმწოდებლის“ უფლება-მოვალეობანი:

9.1 „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს „შემსყიდველისათვის“ საქონლის შეუფერხებელ მიწოდებას დადგენილი პირობების შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 დეკემბრამდე.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,02 %-ის ოდენობით. პირგასამტეხლოს დარიცხვა შეწყდება მას შემდეგ, რაც დარიცხული თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ს.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3 მიმწოდებლის მიერ ხელეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით.

11.4 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) არაუმეტეს 5%-სა.

12. ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორით (ისეთი მოვლენა, რომელიც წინასწარ ვერ იქნებოდა გათვალისწინებული მხარეთა მიერ და როგორიცაა მაგალითად: ომი, სტიქიური უბედურება და სხვა).

12.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

12.4 თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა გრძელდება ორ კვირაზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ ხელშეკრულება შეწყვიტონ ცალმხრივად. ხოლო, თუ რომელიმე მხარეს უკვე აქვს შესრულებული მასზე დაკისრებული ვალდებულება, მეორე მხარე ვალდებულია ან შეასრულოს ბოლომდე ხელშეკრულება ან დაუბრუნოს მხარეს შესრულებული ვალდებულება იმ ოდენობითა და სახით, როგორაც ის იქნა შესრულებული.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონდმებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 ყველა ის შემთხვევა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15.4 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორება ფორმდება წერილობითი ფორმით და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15.5 მხარეები ვალდებულნი არიან შეატყობინონ ერთმანეთს რეკვიზიტების ცვლილების შესახებ. პასუხისმგებლობა ასეთი შეტყობინების შეუსრულებლობისათვის ეკისრება მხარეს, რომელმაც არ შეასრულა ეს ვალდებულება.
15.6 მხარეებს უფლება აქვთ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ნებისმიერ დროს შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
შპს „რეილვეი ფროფერთი მენეჯმენტი“	შპს „ბიბლუსი“
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15	ქ. თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ს/კ 202460103	ს/კ 205254892
სს „საქართველოს ბანკი“	სს „საქართველოს ბანკი“
ცენტრალური ფილიალი	ბანკის კოდი: 220101502
ბანკის კოდი: BAGAGE22	ა/ა GE17BG0000000817232100
ა/ა GE54BG0000000391156800	
ტელ.: 219 96 62; 591 400 309	

ჯობა ლაცაბიძე
გენერალური დირექტორი

ირაკლი გაბიძე
დირექტორი